

გამოყენებითი სოციალური კვლევების პროგრამა

*კონსტრუირებული უთანასწორობა და  
ცხოვრებისეული შესაძლებლობები საქართველოში*

ალექსი გუგუშვილი  
ასოცირებული მკვლევარი

## სარჩევი

რეზიუმე.....	2
შესავალი .....	3
განათლება, პროფესია და ცხოვრებისეული შესაძლებლობები .....	5
კონსტრუირებული გარემოებანი და ცხოვრებისეული შესაძლებლობები: ხუთი ჰიპოთეზა 9	
კვლევის დიზაინი .....	13
ცვლილებები საგანმანათლებლო და პროფესიულ სტრუქტურაში .....	16
მრავაცვლადიანი ანალიზი და კონსტრუირებული უთანასწორობა .....	21
ავტორის შესახებ .....	35
APPENDIX.....	36
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები .....	39

## რეზიუმე

1926-1985 წლებში საქართველოში დაბადებულთა მონაცემებზე დაყრდნობით ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევისა და უმაღლესი განათლებისა და მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლების წრფივი ალბათობის რეგრესიული მოდელების გამოყენებით, მოცემული კვლევა წარმოაჩენს ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში მაღალ კონსტრუირებულ უთანასწორობას, რაც განსაკუთრებით გამძაფრდა 1976-85 წლების თაობისთვის. დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახიდან წარმომავლობა, ბევრი და-ძმის ყოლა, განსაკუთრებით ძმების, 15 წლის ასაკში მოწყვლად რეგიონებში ცხოვრება და სოციალური წარმომავლობით განსაზღვრული არაპრესტიჟული პროფესიების შერჩევა ნეგატიურად და მნიშვნელოვნად უკავშირდება ცხოვრებისეულ შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუირებული ფაქტორების გავლენა ადამიანთა წარმატებაზე, ძირითადად, აისახება მიღებული განათლების მეშვეობით, ასევე იკვეთება აღნიშნული გარემოებების პირდაპირი ეფექტი პროფესიულ მიღწევებზე. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ბოლო ათწლეულებში გაიზარდა უთანასწორობა ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში, არის მზარდი სხვაობა საგანმანათლებლო პროგრესსა და პროფესიულ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებს შორის, რასაც თან ახლავს განათლების გაუფასურების პროცესი.

## შესავალი

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს კონსტრუირებული ფაქტორების როლი ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში, ერთის მხრივ, ინდივიდებისთვის დამახასიათებელი, მაგრამ მათ მიერ არაკონტროლირებადი მაჩვენებლების და მეორეს მხრივ, მათ საგანმანათლებლო და პროფესიულ მიღწევებს შორის კავშირის ანალიზის გზით. სოციალური სტრატეგიკაციის თეორია განასხვავებს ცხოვრებისეული შესაძლებლობების განმაპირობებელ ფაქტორთა ორ ჯგუფს: წინასწარ განსაზღვრული, კონსტრუირებული გარემოებები და მიღწეული, მოპოვებული გარემოებები. მიღწევების როლის შესწავლა ჩვეულებრივ ხდება ინდივიდების შესაძლებლობების, ნიჭისა და მონდომების წვლილის შეფასებით საგანმანათლებლო და პროფესიულ მიღწევებში; კონსტრუირებული ფაქტორების დადგენა კი, უმთავრესად, ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში სოციალური წარმომავლობის როლის შესწავლით წარმოებს (Bian, 2002). კონსტრუირებულ გარემოებათა ჯგუფი არ შემოიფარგლება მშობლების განათლებითა და პროფესიით, ის ასევე მოიცავს იმ პიროვნულ მახასიათებლებს, რომლებიც ენიჭებათ ინდივიდებს დაბადებისთანავე, ან მოგვიანებით, მათი ნების გარეშე. ასეთი ფაქტორებია სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, დასახლების ადგილი, ოჯახის სტრუქტურა, და სხვა. თუ ცხოვრებისეული შესაძლებლობები უმთავრესად განპირობებულია კონსტრუირებული და არა მოპოვებული ფაქტორებით, მაშინ ასეთი შესაძლებლობები არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც დამსახურებული, ან თუნდაც არჩეული და შესაბამისად, არც როგორც სამართლიანი. მოპოვებულ გარემოებებზე კონსტრუირებული ფაქტორების დომინირება მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა. საერთაშორისო დონეზე ათწლეულების მანძილზე სოციალური სტრატეგიკაციის საკითხების კვლევას დიდი წვლილი მიუძღვის კონსტრუირებული უთანასწორობის შესახებ ჩვენი ცნობიერების ამაღლებაში. საქართველოში, მიხედვად იმისა, რომ ფულადი უთანასწორობა მეტ-ნაკლებად კარგად არის შესწავლილი (Yemtsov, 2001, World Bank, 2009), მხოლოდ რამდენიმე კვლევა არსებობს კონსტრუირებული უთანასწორობასა და მის, დროთა განმავლობაში, ცვალებადობაზე (Rosati et al., 2006, Chankseliani, 2012, Roberts and Pollock, 2009).

მოცემული კვლევის მიზანია, წარმოადგინოს სოციალურ სტრატეგიკაციაზე მოქმედი ძირითადი კონსტრუირებული ფაქტორების ანალიზი და ასევე, წვლილი შეიტანოს მოცემული მიმართულებით თეორიულ კვლევაში. კვლევის ორი მთავარი კითხვაა: (1) როგორ უკავშირდება მინიჭებული მახასიათებლები უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას? (2) როგორ უკავშირდება მინიჭებული მახასიათებლები მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლების შესაძლებლობას? ცხოვრების საწყისი წლების შემდგომ ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში, პოპულარულ კვლევებთან ერთად (Heckman, 2011), სტრატეგიკაციის ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა საგანმანათლებლო და პროფესიულ წარმატებასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლა. კუმულატიური უპირატესობის მიდგომა კარგი ანალიტიკური მექანიზმია ინდივიდების ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში კონსტრუირებული უთანასწორობის როლის გაცნობიერებისთვის. ამ მიდგომის მიხედვით, საწყისი უპირატესობა გვევლინება, როგორ რესურსი შემდგომი უპირატესობის მოსაპოვებლად (DiPrete and Eirich, 2006). სხვა სიტყვებით, კონსტრუირებულმა გარემოებებმა შეიძლება განაპირობოს პროფესიული წარმატება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინდივიდების

აკადემიურ მიღწევებზე ზემოქმედების გზით. აქედან გამომდინარე, კონსტრუირებისა და მიღწევების როლის განსაზღვრისთვის აუცილებელია პროფესიულ მიღწევებში განათლების როლის შესწავლის დროს განათლებასა და კონსტრუირებულ გარემოებებს შორის კავშირების გათვალისწინება. მეორეს მხრივ, უთანასწორობა ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში შეიძლება მომდინარეობდეს კონსტრუირებული ფაქტორების პირდაპირი გავლენის გზით, ინდივიდების განათლების მიუხედავად. რა სახის სტრატეგიკაცია და მისი რომელი მექანიზმია უფრო მნიშვნელოვანი მოცემულ საზოგადოებაში - უმაღლესი განათლება თუ პროფესია სამუშაო ძალის ბაზარზე - წარმოადგენს ღია კითხვას, განსაკუთრებით ისეთ დინამიურ ქვეყანაში, როგორც საქართველოა.

კვლევის კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების მისაღებად, როგორც ადრეულ და გვიანდელ საბჭოთა პერიოდში, ასევე დამოუკიდებელ საქართველოში მდგომარეობის შესასწავლად, გამოყენებულია, ჩვენი ინფორმაციით, საუკეთესო მონაცემთა ბაზა - ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულის გამოკვლევა (UNECE, 2012). შემდეგი თავი ემპირიულად ასაბუთებს ანალიზის ორი ძირითადი დამოკიდებული ცვლადის - უმაღლესი განათლებისა და მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლების რელევანტურობას ცხოვრებისეული შესაძლებლობებისთვის საქართველოში. შერჩეული ცვლადების შემოწმება ხდება კეთილდღეობის რამდენიმე მაჩვენებელთან მიმართებაში, როგორებიცაა, სამუშაო ძალის ბაზრის მახასიათებლები, სოციალური სტატუსი, ოჯახური შემოსავლები, და სუბიექტური კეთილდღეობის მაჩვენებლები (ცხოვრებითა და სამუშაოთი კმაყოფილება, ბედნიერებისა და ჯანმრთელობის განცდა). ცნობილია, რომ არა მხოლოდ კონსტრუირებული გარემოებები ახდენს გავლენას საგანმანათლებლო და პროფესიულ მიღწევებზე, არამედ, განათლების ზოგადი დონე და სამუშაო ძალის პროფესიული სტრუქტურა, თავის მხრივ, ზემოქმედებს კონსტრუირებულ უთანასწორობაზე. აქედან გამომდინარე, სანამ აღნიშნული უთანასწორობის ხასიათსა და ტენდენციებს გამოვიკვლევთ, აუცილებელია საგანმანათლებლო და პროფესიული სტრუქტურის გრძელვადიანი განვითარების ტენდენციებისა და ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში მათი შესაძლო გავლენის მიმოხილვა. აღნიშნული კვლევის მრავალცვლადიანი ანალიზის ნაწილში მოცემულია, მონაცემთა შეზღუდულობის პირობებში, ხუთი ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის შემოწმების შედეგები. ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სოციალურ წარმომავლობასა და მისი ცვალებადი როლის შესწავლას 1926-30 წლებში დაბადებული თაობიდან მოყოლებული, 1981-85 წლებში დაბადებულ თაობამდე, როგორც კონსტრუირებული უთანასწორობის მთავარ წყაროს. სოციალური წარმომავლობის გარდა, ჩვენი ანალიზის მიხედვით, შერჩეული სპეციალობა, 15 წლის ასაკში ცხოვრების ადგილი და ზოგიერთი ოჯახური მახასიათებელი გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების მიღების ალბათობაზე და ასევე, პირდაპირ ზემოქმედებს მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლების შესაძლებლობაზე. ბოლო თავი აჯამებს კვლევის მიგნებებს და განიხილავს მათ მნიშვნელობას საჯარო პოლიტიკისთვის.


## განათლება, პროფესია და ცხოვრებისეული შესაძლებლობები

ცხოვრებისეული შესაძლებლობები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის ხელთ არსებული შესაძლებლობები მოიპოვოს წვდომა მცირე რაოდენობით არსებულ და სოციალურად ღირებულ რესურსებზე (Breen, 2005). იმისათვის, რომ გავარკვიოთ თუ რა განაპირობებს ცხოვრებისეულ შესაძლებლობებს საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ცხოვრებისეული წარმატების რელევანტური, დასაბუთებული და გაზომვადი მაჩვენებლების შერჩევა. ამ საკითხისადმი ერთ-ერთი მიდგომა შეიძლება იყოს ვებერისეული მოსაზრება, რომელის მიხედვითაც, მსგავსი განათლებისა და პროფესიის მქონე ინდივიდებს ჯგუფზე დამყარებული მდგომარეობა ანიჭებს 'საზიარო ალბათობას, დაეუფლონ მატერიალურ და არამატერიალურ პროდუქციას, მოიპოვონ ადგილი ცხოვრებაში და მიაღწიონ შინაგან კმაყოფილებას' (Weber, 1978). სხვა სიტყვებით, ჯგუფის წევრებს გააჩნიათ მსგავსი ცხოვრებისეული შესაძლებლობები. ათწლეულების განმავლობაში სოციალური სტრატეგიკაციის სოციოლოგია ცალსახად ასაბუთებს განათლებისა და პროფესიული კუთვნილების მნიშვნელობას ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში, როგორც ინდუსტრიულ, ასევე პოსტ-ინდუსტრიულ ქვეყნებში (Müller and Shavit, 1998). თანამედროვე, მერიტოკრატიულ საზოგადოებაში განათლება წარმოადგენს პროფესიული წარმატების წინაპირობას, თუმცა თავად განათლების მიღება მნიშვნელოვნადაა განპირობებული სოციალური წარმომავლობით. 1990-იან წლებში ცნობილი სოციოლოგების ერთმა ნაწილმა წამოაყენა მოსაზრება, რომ ტრადიციული, სამუშაო ძალის ბაზარზე დაფუძნებული სტრატეგიკაცია კარგავდა თავის რელევანტურობას (Pakulski and Waters, 1996). ამ მიდგომის მიხედვით, კეთილდღეობა ხდება უფრო არამდგრადი ფენომენი და უკავშირდება ინდივიდების ცხოვრების სპეციფიკურ მოვლენებსა და ეტაპებს (Andreas and Schulte, 1998). მიუხედავად ამისა, ფაქტების მომთხილვამ აჩვენა, რომ ეს ჰიპოთეზა შერჩევითი ემპირიული მტკიცებულების გამოყენებას ეფუძნებოდა და შესაბამისად, იყო მცდარი (Hout et al., 1993). კეთილდღეობის მაჩვენებლებზე განათლებისა და პროფესიის რელევანტურობა ნაჩვენებია დასავლეთ ევროპულ (Layte and Whelan, 2002) და ასევე, ზოგიერთ ყოფილ სოციალისტურ (Gugushvili, 2011) ქვეყანაში.

მაშინ, როდესაც განათლების დონის დიფერენცირება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს და თითქმის ყოველთვისაა შესაძლებელი მისი ერთი ცვლადით დახასიათება, როგორცაა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება, გაცილებით პრობლემურია პროფესიაზე დაფუძნებული კლასიფიკაციების შერჩევა. ერიქსონ-გოლდსროპის კლასობრივი სქემა (EGP), პროფესიული სტატუსის საერთაშორისო სოციო-ეკონომიკური ინდექსი (ISEI), ევროპული სოციო-ეკონომიკური კლასიფიკაცია (ESeC) მხოლოდ რამდენიმეა სხვა მრავალ სქემათა შორის. ამ სქემებს ბევრი მსგავსება გააჩნიათ, მაგრამ ასევე ახასიათებთ კონცეპტუალური თავისებურებანი. სიმარტივის, ანალიტიკური სირთულის, მონაცემთა ხელმისაწვდომობისა და სანდოობის გათვალისწინებით, ამ კვლევაში უმაღლესი განათლების მიღება და მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლება წარმოდგენილია ორი დამოკიდებული ცვლადის სახით. მოცემული ცვლადების ცხოვრებისეულ შესაძლებლობებთან რელევანტურობის წარმოსაჩენად განვიხილავთ მათ კავშირს ობიექტური და სუბიექტური კეთილდღეობის მაჩვენებელთან. აქ გამოყენებული მონაცემების წყაროა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 2006 წლის კვლევა - 'ცხოვრება გარდამავალ პერიოდში' (EBRD, 2006) და ტილბურგის უნივერსიტეტის მიერ 2008 წელს ჩატარებული

‘ვეროპული ღირებულებების კვლევა’ (EVS, 2010). მოცემული ანგარიშის მთავარი მონაცემთა ბაზის დეტალური დახასიათება წარმოდგენილია კვლევის დიზაინის ქვეთავში. ამ ჯერზე კი, იმის აღნიშვნაა საკმარისი, რომ აქ გამოყენებული მონაცემთა ბაზები წარმომადგენლობითია ქვეყნის მასშტაბით, რაც ნიშნავს იმას, რომ წარმოდგენილი შედეგების განზოგადება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა, მთელი საქართველოსთვისაა შესაძლებელი.

დიაგრამა 1: საგანმანათლებლო და პროფესიული სტრუქტურა და სხვადასხვა ობიექტური კუთვნილების ინდიკატორები, ცვლადების საშუალო მაჩვენებლები




შენიშვნები: ISCED 0-3=დაწყებითი განათლების გარეშე, დაწყებითი განათლება, არასრული და სრული საშუალო განათლება; ISCED 4=საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება, ISCED 5-6=უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხური; ISCO 1=კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები; ISCO 2=სპეციალისტ-პროფესიონალები; ISCO 3=სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი; ISCO 4=ოფისის პერსონალი; ISCO 5=მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი; ISCO 6=სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები; ISCO 7= ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები; ISCO 8=სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები; ISCO 9=არაკვალიფიციური მუშები. წყარო: ავტორის გათვლები 'ვეროპული ღირებულებათა კვლევისა' (EVS, 2010) და 'ცხოვრება გარდამავალ პერიოდში' (EBRD, 2006) კვლევის მონაცემთა საფუძველზე

დიაგრამა 1 აჩვენებს, თუ როგორ უკავშირდება განათლების დონე და პროფესიული კუთვნილება სამუშაო ძალის ბაზრის სხვადასხვა მახასიათებელს, რესპონდენტებისა და მათი პარტნიორების სოციალურ პრესტიჟს და ოჯახურ შემოსავლებს. დიაგრამაზე ცალსახად იკვეთება ძლიერი ასოციაცია უმაღლეს განათლებას (ISCED 5-6), მაღალკვალიფიციურ პროფესიულ კუთვნილებასა (ISCO 1-2) და დასაქმების გაცილებით უკეთეს შანსებს შორის. დასაქმების მაღალი ალბათობა ასევე აღენიშნებათ ელემენტარული პროფესიების (ISCO 9) მუშაკებს, და სერვისისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებულებს (ISCO 5). უმაღლეს განათლებულები და კვალიფიციური პროფესიის მქონენი მნიშვნელოვნად დაბალი რისკის ქვეშ არიან განიცადონ 3 თვეზე მეტი ხნით უმუშევრობა. მათ ასევე აღენიშნებათ თვისუფლების მეტი ხარისხი სამუშაოზე გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. ISEI-ის მიხედვით შეფასებული (Ganzeboom et al., 1992) პროფესიული პრესტიჟის ქულებიც ასევე ყველაზე მაღალია უმაღლეს განათლებულებსა და კვალიფიციური პროფესიის მქონეებს შორის. ძლიერი ასოციაცია ასევე აღინიშნება ინდივიდების პრესტიჟის ქულებსა და



მათი პარტნიორების პრესტიჟის ქულებს შორის (კორელაციის კოეფიციენტი=.93), რაც საქართველოში განათლებისა და პროფესიის მიხედვით ჰომოგამიის მაღალ დონეზე მიუთითებს. აღნიშნული შედეგი შეესაბამება საერთაშორისო დონეზე არსებულ ტენდენციებს (Kalmijn, 1998). გარდა ამისა, განათლებული და კვალიფიციური პროფესიის მქონეთა ოჯახებს გაცილებით მაღალი შემოსავლები გააჩნიათ სხვა ყველა საგანმანათლებლო და პროფესიულ ჯგუფთან შედარებით.

დიაგრამა 2: საგანმანათლებლო და პროფესიული სტრუქტურა და სხვადასხვა სუბიექტური კეთილდღეობის ინდიკატორები, ცვლადების საშუალო მაჩვენებლები



*შენიშვნები:* ISCED 0-3=დაწყებითი განათლების გარეშე, დაწყებითი განათლება, არასრული და სრული საშუალო განათლება; ISCED 4=საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება, ISCED 5-6=უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხური; ISCO 1=კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები; ISCO 2=სპეციალისტ-პროფესიონალები; ISCO 3=სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი; ISCO 4=ოფისის პერსონალი; ISCO 5=მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი; ISCO 6=სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები; ISCO 7= ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები; ISCO 8=სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები; ISCO 9=არაკვალიფიციური მუშები. წყარო: ავტორის გათვლები 'ევროპული ღირებულებათა კვლევის' (EVS, 2010) და 'ცხოვრება გარდამავალ პერიოდში' (EBRD, 2006) კვლევის მონაცემთა საფუძველზე

დიაგრამა 2 ასახავს რესპონდენტების მიერ საკუთარი ცხოვრების სხვადასხვა მახასიათებლების - ცხოვრების კონტროლი, ცხოვრებით კმაყოფილება, ბედნიერების განცდა, სამსახურით კმაყოფილება, ოჯახური შემოსავლები, ჯანმრთელობის შეგრძნება - სუბიექტურ შეფასებას. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს მაღალი კონტროლი გააჩნიათ ცხოვრებაზე, მაგრამ ადამიანები ყველაზე დაბალი განათლებით გამოხატავენ ცხოვრების უფრო მაღალი კონტროლის შეგრძნებას. იგივე მიესადაგება პასუხების განაწილებას პროფესიების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ISCO 2-ის წარმომადგენლების გაცხადებული ცხოვრებისეული კონტროლი ყველაზე მაღალია, ISCO 6, 7, და 8-ის წარმომადგენლებსაც მსგავსი დონის სუბიექტური კონტროლის გრძნობა გააჩნიათ საკუთარ ცხოვრებაზე. ეს შედეგი მოულოდნელია, ვინაიდან, ადრეული კვლევების მიხედვით, ადამიანები საქართველოში გაჭირვებას სტრუქტურულ და ფატალისტურ მიზეზებს მიაწერენ (Habibov, 2011) და აქედან გამომდინარე, გასაკვირია ცხოვრებაზე მაღალი კონტროლის დაფიქსირება სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მიერ. განათლებული ადამიანები მეტად




არიან კმაყოფილნი საკუთარი ცხოვრებით, მაგრამ ცალსახა ტენდენცია პროფესიების მიხედვით გამოხატული არ არის. ISCO 2 ჯგუფის წარმომადგენლები ასევე კმაყოფილები მაღალ დონეს აფიქსირებენ, მაგრამ ISCO 1 ჩამორჩება ISCO 7-ისა და ISCO 8-ის წარმომადგენლებს. შესაძლებელია, რომ საპასუხისმგებლო პოზიციებთან დაკავშირებული სტრესი და მძიმე სამუშაო ამცირებს მაღალკვალიფიციური პროფესიების მქონეთა ცხოვრებით კმაყოფილებას. ამავდროულად, სუბიექტური ჯანმრთელობის შეფასება ყველაზე მაღალია განათლებულებსა და კვალიფიციურ მუშაკებს შორის, თუმცა, ტექნიკოსები, საწარმოებისა და მანქანების ოპერატორებთან ერთად ასევე აძლევენ საკუთარ ჯანმრთელობას მაღალ სუბიექტურ შეფასებას. განათლებულებთან ერთად, სამსახურით ყველაზე მაღალ კმაყოფილებას გამოთქვამენ კლერკები, კანონმდებლები, მაღალი თანამდებობის პირები, მენეჯერები და პროფესიონალები. რაც შეეხება შემოსავლების სუბიექტურ განაწილებას, ISCED 5-6 და ISCO 1-2 ჯგუფები თავს მიაკუთვნებენ ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონეთა რიგებს. და ბოლოს, უფრო მაღალი განათლებისა და პროფესიის მქონენი სხვებთან შედარებით ბედნიერების ოდნავ უფრო მაღალი სიბიექტური აღქმით გამოირჩევიან.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ამ ნაწილმა გამოავლინა, რომ უმაღლესი განათლება და მაღალკვალიფიციური პროფესია უმთვრესია უკეთესი ცხოვრებისეული შესაძლებლობებისთვის. ეს განსაკუთრებით გამოიხატება სამუშაო ძალის ბაზრის ობიექტურ ინდიკატორებში, როგორებიცაა დასაქმების ალბათობა, 3 თვეზე მეტი ხნით უმუშევრობის თავიდან არიდება, რესპონდენტებისა და მათი პარტნიორების პროფესიული პრესტიჟი და ინდივიდების ოჯახური შემოსავლები. განსხვავება სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიულ ჯგუფებს შორის ნაკლებადაა გამოკვეთილი სამუშაო ბაზარზე რესპონდენტთა მდგომარეობის სუბიექტური შეფასებისა და ზოგადი კეთილდღეობის სუბიექტური წარმოდგენების მიხედვით. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სუბიექტურ ინდიკატორებში იკვეთება ნაკლები განსხვავება განათლებისა და პროფესიების მიხედვით, შესაძლოა იყოს ადამიანებისთვის დამახასიათებელი დაუსაბუთებელი ოპტიმიზმი. მაგალითად, დასაბუთებულია, რომ ადამიანთა დიდ ნაწილს აქვს ჯანმრთელი ცხოვრებისა და სამუშაო ბაზარზე წარმატების გადაჭრებელი მოლოდინი (Sharot et al., 2007). შესაძლებელია, რომ საგანმანათლებლო და პროფესიული ჯგუფების ქვედა კატეგორიებში წარმოდგენილი რესპონდენტები შესაბამისად ვერ აფასებენ თავიანთ რეალურ სიდუხჭირეს, თუმცა უთანასწორობა აისახება კეთილდღეობის ობიექტურ მახასიათებლებში. ვინაიდან, ეს კვლევა უმთავრესად შეისწავლის ადამიანთა რეალურ ქმედებებს, პირობებს და მათ მიერ განხორციელებულ არჩევანს და არა მოსაზრებებს, აღქმებსა და მისწრაფებებს, დასაშვებია კეთილდღეობის სუბიექტური შეფასებებისთვის ნაკლები ყურადღების მინიჭება საქართველოში ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში კონსტუირებული ფაქტორების კვლევის დროს. უმაღლესი განათლებისა და მაღალკვალიფიციური პროფესიის მნიშვნელობა ცალსახაა, თუმცა მომდევნო თავში ჩამოყალიბებულია შემოწმებას დაქვემდებარებული ხუთი ჰიპოთეზა, თუ რა სახით ახდენენ გავლენას ადამიანების ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე მინიჭებული ფაქტორები.


კონსტრუირებული გარემოებანი და ცხოვრებისეული შესაძლებლობები: ხუთი ჰიპოთეზა

საგანმანათლებლო და პროფესიული მიღწევებით გამოხატულ ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე შესაძლოა უამრავმა კონსტრუირებულმა და მოპოვებულმა ფაქტორმა იქონიოს გავლენა. არსებული კვლევები ადასტურებენ, რომ გენები (Guo, 2005), კოგნიტური უნარები (Heckman et al., 2006), არა-კოგნიტური მახასიათებლები და ქცევები (Farkas, 2003), სამეზობლოს ხასიათი (Harding et al., 2010), საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა სოციო-ეკონომიკური კომპოზიცია (Crosnoe, 2009), მასწავლებელთა ხარისხი (Jennings and DiPrete, 2010) ახდენენ გავლენას განათლების მიღებისა და შემდგომში პროფესიული წარმატების შესაძლებლობებზე. ამ კვლევას არ ძალუძს, და არც ისახავს მიზნად, ყველა ამ გარემოების შესწავლა, თუმცა ჩამოთვლილი ფაქტორები სავარაუდოდ გავლენას ახდენენ ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე საქართველოში. ჩვენი აზრით, უფრო რელევანტური და გამოკვლევადი საკითხია ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე სოციალური წარმომავლობისგან კონსტრუირებული გარემოებების გავლენის შესწავლა. სოციალურ წარმომავლობასა და საგანმანათლებლო მიღწევებს შორის მნიშვნელოვანი კავშირის არსებობა ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი მიგნებაა სოციოლოგიასა (Hout and DiPrete, 2006) და ეკონომიკაში (Carneiro et al., Forthcoming). თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ამ დრომდე ეს კავშირი საფუძვლიანად არ შესწავლილა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ შინამეურნეობათა ანალიზმა აჩვენა, რომ განათლებული მშობლების ყოლა ზრდის ახალგაზრდების სკოლაში ყოფნის ალბათობას (Rosati et al., 2006), ხოლო 'ჰიზა 2009 პლიუსის' შედეგებმა გამოავლინა, რომ ქართველ მოზარდებში სოციო-ეკონომიკურ სტატუსსა და კითხვის უნარებს შორის კავშირი უფრო სუსტია, ვიდრე საშუალოდ OECD ქვეყნებში (Walker, 2011), თითქმის არაფერია ცნობილი, თუ რა მიმართებაა საგანმანათლებლო წარმატებასა და სოციალურ წარმომავლობას შორის. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების შესახებ არსებულ განათლების სტრატეგიკაციის კვლევებზე დაყრდნობით (Gerber and Hout, 1995, Iannelli, 2002), ჩვენი პირველი ჰიპოთეზა მდგომარეობს საგანმანათლებლო მიღწევებში სოციალური წარმომავლობის გავლენის მნიშვნელობის დადგენაში, როგორც საბჭოთა ასევე დამოუკიდებელ საქართველოში.



საქართველოზე არსებული კვლევები მიუთითებენ, რომ მიღებული განათლების დონე გავლენას ახდენს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში არსებულ დასაქმებულთა შემოსავლებზე (World Bank, 2009), მაგრამ საქართველოს მთავრობის (2011) ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ განათლება არ არის ბაზარზე არსებული ხელფასის დონის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორი. როგორც წინა თავში ვნახეთ, არსებობს ძლიერი კორელაცია შემოსავლებსა და პროფესიულ კუთვნილებას შორის, აქედან გამოდინარე, სავარაუდოა, რომ მიღწეული პროფესია ასევე მნიშვნელოვნადაა განპირობებული განათლების დონით, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ მისით. გარდამავალი ქვეყნების შესახებ კვლევები ავლენენ


სოციალური წარმომავლობის პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას პროფესიულ მიღწევებზე. მაგალითისთვის, უკრაინაში უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას, პროფესიული სასწავლებლებისგან განსხვავებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ წარმომავლობას, თუმცა, უმაღლესში მიღებული განათლება, თავის მხრივ, განაპირობებს უკეთეს შედეგებს სამუშაო ძალის ბაზარზე (Gebel and Kogan, 2011). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უმაღლეს დამთავრებულთა სამუშაო ბაზრის ტრანზიციის ანალიზმა გამოავლინა, რომ განათლების დონე უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების პროფესიული სტატუსის მოპოვებისთვის (Noelke et al., Forthcoming). ჩვენთვის მხოლოდ რამდენიმე კვლევაა ცნობილი, რომელიც შეიწავლის საქართველოში სოციალურ წარმომავლობასა და პროფესიულ მიღწევებს შორის კავშირს. რობერტსი et al. (2000) მიხედვით მიუხედავად იმისა, რომ ელიტარული ოჯახების ნაწილმა 1990-იან წლებში გააცნობიერა მათი შვილებისთვის მინიჭებული განათლების გაუფასურება, ოჯახური კავშირები, სავარაუდოდ, კვლავ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს კარიერულ წინსვლაში. მაგალითად, ინდივიდებმა შესაძლოა სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაცია მიიღონ მათი მშობლების სოციალური კავშირებიდან (Mouw, 2003). როსატი et al. (2006) კვლევა ასევე აჩვენებს, რომ ოჯახის უფროსის განათლების დონე აუმჯობესებს ახალგაზრდების დასაქმების ალბათობას, რადგან განათლებული მშობლების შვილების დაახლოებით 40% იყო დასაქმებული, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი დაბალი განათლების მქონე მშობლების ოჯახებში მხოლოდ 13 პროცენტს შეადგენდა. მეორე ჰიპოთეზაში ჩვენ ველით, რომ სოციალური წარმომავლობა, ინდივიდის განათლების დონის გათვალისწინების შემთხვევაშიც, გავლენას ახდენს პროფესიულ მიღწევებზე და ეს ეფექტი განსაკუთრებით უნდა გამძაფრებულიყო დამოუკიდებელ საქართველოში.



სტრატეგიკაციის სოციოლოგია ცალსახად მიუთითებს, რომ სოციალური წარმომავლობა არის ინდივიდების ცხოვრებისეული შესაძლებლობების ერთ-ერთი განმსაზღვრელი დეტერმინანტი, თუმცა, მშობლების სტატუსმა შესაძლოა სხვადასხვა სახით მოახდინოს გავლენა შვილების პროფესიულ მიღწევებზე. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა სოციალური წარმომავლობის ასოციაცია სწავლების სპეციფიკურ მიმართულებებთან. ცნობილია, რომ სტუდენტები ნაკლებად შეძლებული ოჯახებიდან უფრო დიდი ალბათობით ხვდებიან არაპრესტიჟულ უნივერსიტეტებში, თუმცა, სოციალური წარმომავლობის წმინდა ეფექტი, აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით, ძალიან მცირეა (Alexander et al., 1987). ამავე დროს, ბავშვები უფრო წარმატებული ოჯახებიდან მეტად ეტანებიან ეკონომიკურად უფრო შემოსავლიან მიმართულებებს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში (Davies and Guppy, 1997). ეკონომიკური და კულტურული ელიტების შვილები ირჩევენ სპეციალიზაციას, რომლის მეშვეობითაც მათ საშუალება ეძლევათ, შეინარჩუნონ და გაზარდონ ოჯახური კაპიტალი. მაგალითისთვის, ჰოლანდიაში კულტურული კაპიტალის მაღალი დონე ოჯახში განაპირობებს კულტურული სპეციალობების შერჩევის მაღალ ალბათობას (Van de Werfhorst et al., 2001). მშობლებს ასევე შესწევთ უნარი, მიაწოდონ თავიანთ შვილებს წარმატებისთვის

კრიტიკული ინფორმაცია მათი სწავლის სფეროსა და მოცემულ სფეროში სამუშაო ბაზრის თავისებურებების შესახებ. როგორ ჩვენ მოგვიანებით ვნახავთ, უმაღლეს განათლებულთა ზოგადი რაოდენობის ზრდამ, სავარაუდოდ, შეამცირა უმაღლესი სასწავლებლებიდან მიღებული განათლების ფასი, მაგრამ ამავე დროს ნაჩვენებია, რომ ინდივიდების განათლების ხარისხი მნიშვნელოვანია მათი დასაქმებისთვის (Government of Georgia, 2011). სამწუხაროდ, ბევრი არ არის ცნობილი კონკრეტული სასწავლო დარგებისა და სპეციალობების შესახებ, რომლებიც სხვა სფეროებთან შედარებით, შესაძლოა, დიდ უპირატესობას ანიჭებენ სტუდენტებს სამუშაო ძალის ბაზარზე. თუ ასეთი სფეროები არსებობენ, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ სტუდენტები უფრო წარმატებული ოჯახებიდან სწორედ ამ მიმართულებებს ირჩევენ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს უკეთეს პროფესიულ შედეგებს.

გარდა საგანმანათლებლო და პროფესიულ მიღწევებში სოციალური წარმომავლობის შეფასებისა, ჩვენ ასევე განვასხვავებთ სხვა რამდენიმე კონსტრუირებულ ფაქტორს, რომლებიც წინა კვლევების მიხედვით გავლენას ახდენენ ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე. გამოყენებული მონაცემთა ბაზა უთანასწორობაში გეოგრაფიული მდებარეობისა და ოჯახური სტრუქტურის როლის შეფასების საშუალებას იძლევა. რუსეთისთვის ვეგრენი et al. (2006) აჩვენებს, რომ საბჭოთა ეპოქაში სასოფლო დასახლებები მაღალი სოციალური მობილურობით ხასიათდებოდა, ხოლო პოსტ-საბჭოთა პერიოდში ცხოვრებისეული შესაძლებლობები სულ უფრო მეტადაა განპირობებული მზარდი შემოსავლების დიფერენცირებითა და უთანასწორობით. ჩანკსელიანის (2012) ბოლოდროინდელი კვლევა ასევე აჩვენებს, რომ საქართველოში აბიტურიენტების საცხოვრებელი ადგილი დიდწილად განსაზღვრავს განათლების უმაღლეს საფეხურზე მიღწეულ წარმატებებს. სოფლად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს გააჩნიათ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დაბალი ალბათობა, სახელმწიფო გრანტის მიღების მცირე შანსი და, ნაკლებად სავარაუდოა, მოახერხონ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებლებში ჩარიცხვა. თუმცა, ღია კითხვებად რჩება, არის თუ არა ეს უთანასწორობა ბოლო პერიოდში განვითარებული ფენომენი, ან ნარჩუნდება თუ არა სოფელსა და ქალაქს შორის სხვაობა მას შემდეგ, რაც მშობლების სოციალური სტატუსის გათვალისწინება ხდება? საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სიღარიბისა და უთანასწორობის დონით (Working Group on Poverty Reduction and Employment, 2009), რაც ღარიბ სასოფლო დასახლებებში ცხოვრებისეული შესაძლებლობების შეზღუდულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს, ვინაიდან, შესაძლებლობების უთანასწორობა, წინა კვლევების მიხედვით, უკავშირდება ზოგადი უთანასწორობის დონეს, როგორც მიკრო, (Binder and Woodruff, 2002) ასევე მაკრო კონტექსტში (Andrews and Leigh, 2009). მიუხედავად იმისა, რომ პრობლემურია სიღარიბის მაჩვენებლების შესახებ ზუსტი ისტორიული მონაცემების მოპოვება საქართველოს რეგიონებში, საფიქრებელია, რომ ამჟამინდელი მდგომარეობა გრძელვადიანი სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შედეგია. და ბოლოს, ცნობილია რომ აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სუსტად არიან ინტეგრირებულნი ქვეყნის ცხოვრებაში (Wheatley, 2009), რამაც ასევე შეიძლება ასახვა ჰპოვოს განათლებითა და პროფესიით გამოხატულ ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში.



კონსტრუირებულ მახასიათებელთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც რელევანტური და, ამავე დროს, გაზომვადია არსებული მონაცემებით, არის ოჯახური დინამიკის როლი ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში. ეს მიმართულება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ისეთ ოჯახურ ფაქტორებზე, როგორებიცაა 15 წლის ასაკში ორივე ბიოლოგიური მშობლის ყოფნა ოჯახში, ოჯახის წევრებთან ურთიერთობების ხარისხი და და-ძმების რაოდენობა და კონფიგურაცია. შესაძლებელია ასევე ვარაუდის გამოთქმა, რომ სოციალური წარმომავლობა უშუალოდ უკავშირდება ოჯახურ მახასიათებლებს, მაგრამ თუ ეს ფაქტორები, სოციალური წარმომავლობის გათვალისწინების შემთხვევაშიც, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ახდენენ გავლენას ადამიანთა საგანმანათლებლო და პროფესიულ მიღწევებზე, მაშინ ეს იქნება კონსტრუირებული უთანასწორობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. ადრეული კვლევების მიხედვით, ახალგაზრდების უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური მოსწრებისთვის მნიშვნელოვანია კარგი ოჯახური ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის. მაგალითისთვის, ამერიკაში ბავშვები იმ ოჯახებიდან, სადაც მშობლებს გააჩნიათ კარგი ურთიერთობები შვილებთან, უფრო დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი უმაღლეს დამთავრებულებს შორის (Tinto, 1975). ამის საპირისპიროდ, შვილები იმ ოჯახებიდან, სადაც მშობლები არიან გაყრილები, სხვა უარყოფით შედეგებთან ერთად, როგორებიცაა ფსიქოლოგიური პრობლემები, სირთულეები საკუთარ ოჯახურ ურთიერთობებში, განქორწინების უფრო მაღალი რისკი, ასევე ხასიათდებიან განათლების უფრო დაბალი დონით (Amato, 2010). გარდა ამისა, დასაბუთებულია, რომ არსებობს უკუკავშირი და-ძმათა რაოდენობასა და ინდივიდების საგანმანათლებლო მიღწევებს შორის. აღნიშნულის ახსნა ძირითადად ხდება რესურსების განფენის თეორიით, რომლის მიხედვითაც მშობლებს შეზღუდული დროითი, ენერჯის, ფულადი და სხვა სახის რესურსები გააჩნიათ და, შესაბამისად, ამ რესურსების უფრო მცირე წილი მოდის ერთ ბავშვზე და-ძმათა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში (Downey, 1995). და-ძმათა სქესობრივმა კომპოზიციამ ასევე შეიძლება მოახდინოს გავლენა ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ჰიპოთეზაა 'ძმების ყოლის ვალდებულება,' რაც ორივე სქესს ეხება. ეს მიდგომა ხსნის ძმების ყოლის ნეგატიურ ეფექტს საგანმანათლებლო შედეგებზე ასეთ ოჯახებში არსებული ნორმატიული კლიმატით. დების ყოლის შემთხვევაში, ბავშვები მეტი ალბათობით იზრდებიან ისეთ გარემოში, სადაც აკადემიურ მოსწრება ნორმაა და უფრო მოთხოვნადია (Steelman et al., 2002). აღნიშნული კავშირები, ჩვენი ინფორმაციით, ჯერ არ ყოფილა გამოკვლეული საქართველოში.

## კვლევის დიზაინი

საგანმანათლებლო და პროფესიულ მიღწევებში კონსტრუირებული გარემოებების გრძელვადიან ტენდენციებში გასარკვევად, მოცემული კვლევა იყენებს ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულის გამოკვლევის მონაცემებს, რომელიც ჩატარებულია გაერთიანებული ერების, ევროპის ეკონომიკური კომისიის დაკვეთით (UNECE, 2012).<sup>1</sup> საქართველოში მონაცემების შეგროვება 2006 წელს განახორციელა საქართველოს მოსახლეობის კვლევის ცენტრმა, 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით დაფარულ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (Badurashvili, 2012). GGS ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი კვლევაა და ჩვენი ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია მოპოვებულია რესპონდენტთათვის ამჟამინდელი და ბავშვობის დროინდელი გარემოებების შესახებ რეტროსპექტული კითხვების დასმის მეშვეობით. კვლევა საქართველოსთვის მოიცავს 10,000 დაკვირვებას და გაცილებით მოსახერხებელია კონსტრუირებული ფაქტორების ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში გრძელვადიანი ტენდენციების გამოსაკვლევად, ვიდრე ალტერნატიული მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა LITS (EBRD, 2006) და EVS (EVS, 2010). ეს უკანასკნელი მოიცავს ინფორმაციას სოციალური წარმომავლობის შესახებ, მაგრამ მათში დაკვირვებათა რაოდენობა ძალიან მცირეა. GGS-ის მასშტაბური მოცვა სოციალური სტრატეფიკაციის ტენდენციების სტატისტიკურად სანდო დაკვირვებების ჩატარების საშუალებას იძლევა ორივე სქესისთვის. რესპონდენტებისთვის დასმული და ამ კვლევაში გამოყენებული კითხვები ეხება რეალურ ქმედებებს, სიტუაციებსა და არჩევანს და არა პირად მოსაზრებებს, პრეფერენციებსა და შეხედულებებს. რა თქმა უნდა, შეცდომები მეხსიერებიდან, ზუსტი ინფორმაციის მოწოდების თვალსაზრისით, იარსებებს, მაგრამ თუ შეცდომებს ადგილი არა აქვს რომელიმე ჯგუფის მხრიდან გადაჭარბებით ეს პრობლემა ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ანალიზის შედეგებზე. არსებული კვლევების მიხედვით, რეტროსპექტულ ინფორმაციაში შეცდომები, როგორც წესი, თანაბრადაა გადანაწილებული სხვადასხვა ჯგუფებს შორის (Kraaykamp, 2003).

### დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები

ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულის გამოკვლევა მოიცავს რესპონდენტებისა და მათი მშობლებისთვის განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED) კოდებს: ISCED 0=დაწყებითი განათლების გარეშე, ISCED 1=დაწყებითი განათლება, ISCED 2=არასრული საშუალო განათლება, ISCED 3=სრული საშუალო განათლება, ISCED 4=საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება, ISCED 5=უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ISCED 6=უმაღლესი განათლების მეორე საფეხური. მრავალცვლადიანი ანალიზის ნაწილში, დამოკიდებული ცვლადი თავის თავში აერთიანებს უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებს. პროფესიული სტრუქტურა GGS-ში მოცემულია 4-ციფრიანი პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორების მიხედვით (ISCO-88), რომელიც ასევე ეხება რესპონდენტს და მათ მშობლებს. 4-ციფრიანი პროფესიების კოდების დაყვანა ხდება 1-ციფრზე, რის შედეგადაც ვიღებთ: ISCO 1=კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და

<sup>1</sup> The next section described data in more details.

მენეჯერები; ISCO 2=სპეციალისტ-პროფესიონალები; ISCO 3=სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი; ISCO 4=ოფისის პერსონალი; ISCO 5=მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი; ISCO 6=სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები; ISCO 7= ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები; ISCO 8=სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები; ISCO 9=არაკვალიფიციური მუშები. ინფორმაცია სასწავლის სპეციალობის შესახებ ასევე მოცემულია ISCO კოდების მეშვეობით, რასაც ჩვენ 11 კატეგორიად ვაჯგუფებთ: (1) ფიზიკური, მათემატიკური და კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალობა; (2) საარქიტექტორო და საინჟინრო სფეროები; (3) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებული სპეციალობები; (4) სწავლების მოსამზადებელი მიმართულებები; (5) სხვა პროფესიული მიმართულებები; (6) სოციალური მეცნიერებების მიმართულებები; (7) ფიზიკურ და საინჟინრო მეცნიერებებთან დაკავშირებული მიმართულებები; (8) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანმრთელობასთან ასოცირებული სფეროები; (9) სწავლებისა და სხვა ასოცირებული სფეროები; (10) საოფისე სპეციალობები და სერვისთან დაკავშირებული მიმართულებები.

კონსტრუირებულ უთანასწორობაში რეგიონული და სოფელსა და ქალაქს შორის არსებული განსხვავებების შეფასებისთვის გამოყენებულია ინფორმაცია რესპონდენტების საცხოვრებელი ადგილის შესახებ 15 წლის ასაკში. დამოკიდებული ცვლადები შექმნილია საქართველოს ყველა რეგიონისთვის: თბილისი, შიდა ქართლი, აჭარა, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი. სოფელსა და ქალაქს შორის სხვაობის შესამოწმებლად ხდება, ამჟამინდელი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის გამოყენება, რადგანაც ადრეულ ეტაპებზე სოფელსა და ქალაქს შორის სხვაობა გამოკლევაში არ არის ასახული. ოჯახური მდგომარეობის შეფასებისთვის შექმნილი ცვლადი უტოლდება ერთს თუ რესპონდენტები არ ცხოვრობდნენ ორივე ბიოლოგიურ მშობელთან ერთად 15 წლის ასაკში. ოჯახური ურთიერთობები ასევე შეფასებულია კითხვით, რომელიც ეხება 15 წლის ასაკამდე რესპონდენტთა მშობლებთან ურთიერთობების ხარისხს. შესაძლო პასუხი მერყეობს 0-დან (ძალიან ცუდი) 10-მდე (ძალიან კარგი). და ბოლოს, მინიჭებული ფაქტორების როლის შესწავლა ასევე ხდება და-ძმათა რაოდენობისა და კომპოზიციის შეფასებით. დებისა და ძმების ყველანაირი კომპოზიციის გამოხატვისთვის შექმნილია 12 ცვლადი. მშობლების განათლებისა და პროფესიების ასარჩევად გამოყენებულია დომინაციის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო მაღალი სტატუსი მქონე მშობელი მიიჩნევა გადამწყვეტად წამომავლობის სტატუსის განსაზღვრის დროს.

## მეთოდები

აღწერილი ცვლადების გამოყენება ხდება მინიჭებული უთანასწორობის შეფასებისთვის დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. აღწერითი მიზნებისთვის ასევე წარმოდგენილია განათლებისა და პროფესიული სტრუქტურის ცვალებადობა ამავე პერიოდში. მოცვის პერიოდის გასაზრდელად, რესპონდენტების პასუხები მათი მშობლების განათლების დონისა და პროფესიული კუთვნილების შესახებ გამოყენებულია 1931-35 წლების თაობამდე არსებული ტენდენციების გამოსკვლევად, ხოლო მოგვიანებითი



პერიოდის შესასწავლად გამოიყენება თავად რესპონდენტთა განათლებისა და პროფესიული კუთვნილების შესახებ ინფორმაცია. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ საკითხს, რომ ამ მიდგომას თავისი ნაკლი გააჩნია. ორი მთავარი შესაძლო პრობლემაა არასწორი ინფორმაციის მოწოდება რესპონდენტთა მიერ და სოციალურ-ეკონომიკური კლასის მიხედვით მონაცემთა ბაზაში სხვადასხვა პერიოდში დაბადებულითა სიკვდილიანობის განსხვავებული მაჩვენებლები. ანალიზში გაკეთებულია დაშვება, რომ ეს ორივე საკითხი მნიშვნელოვნად არ ცვლის მიღებულ შედეგებს. ასოცირებადი ანალიზი მიღწეულ განათლებას, პროფესიასა და სოციალურ წარმომავლობას შორის ტარდება რესპონდენტთა დაბადების ყოველი წლისთვის, ვინაიდან მონაცემები დიდი რაოდენობით დაკვირვების არსებობის შედეგად სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგების მიღების საშუალებას იძლევა, დაწყებული 1920-იანი წლებიდან დამთვრებული 1980-იან წლებამდე. კონსტრუირებადი უთანასწორობის მრავალცვლადიანი ანალიზის საწარმოებლად ორი განსხვავებული მიდგომა გამოიყენება.

უპირველეს ყოვლისა, იქმნება 5 წლიანი თაობებისთვის 12 ცვლადი დაწყებული 1926-30 წლებისა და დამთავრებული 1981-85 წლების პერიოდით. შემდეგ ხდება საგანმანათლებლო მიღწევების მოდელებში ამ მონაცემების ინტერაქცია სოციალური წარმომავლობის მაჩვენებლებთან, ხოლო პროფესიული მიღწევების გათვლებში ამას ასევე ემატება, თაობებისა და რესპონდენტთა მიერ მიღწეული განათლების ინტერაქცია. თაობა, რომლის გამოყენებაც ხდება რეფერირებად კატეგორიად მოიცავს 1966-70 წწ. დაბადებულებს, რომელიც შეიძლება ჩითვალოს როგორც კომუნიზმის მწვერვალი. ამ თაობასთან შედარებით მდგომარეობის ცვლილება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორ იცვლებოდა უთანასწორობა, როგორც კომუნისტურ, ასევე დამოუკიდებელ საქართველოში. სოციალური წარმომავლობის ეფექტის შეფასების შემდეგ, ასევე ხდება დროის განმავლობაში კონსტრუირებული უთანასწორობის სხვა ფაქტორებში ცვლილების შეფასება, მხოლოდ ამჯერად, ცალკეული რეგრესიული ანალიზი ტარდება მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებიც დაიბადნენ 10 წლიანი პერიოდის განმავლობაში, ხოლო შედეგების შედარება ხდება მოდელებს შორის და არა თავად მოდელებში. სოციალური წარმომავლობისა და, ასევე, საკუთარი განათლების მნიშვნელობიდან გამოდინარე, პროფესიულ წარმატებაში ეს ცვლადები გთვალისწინებულია, როდესაც ხდება სხვა ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების შემოწმება. კვლევა უმთავრესად ეფუძნება წრფივი ალბათობის რეგრესიულ მოდელს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა უმცირეს კვადრატთა რეგრესიული მოდელი, მაშინ, როდესაც დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობა 0-დან 1-მდე მერყეობს. წრფივი ალბათობის მოდელებს რეგრესიული კოეფიციენტები დაახლოებით უტოლდება ლოგისტიკური რეგრესიების შედეგად მიღებულ მარგინალური ეფექტის კოეფიციენტებს, თუმცა მათი გამოთვლა და ინტერპრეტირება უფრო ადვილია (Bernardi and Cebolla, 2011). შერჩეული სწავლის სპეციალობისთვის გამოყენებულია მულტინომიური ლოგისტიკური რეგრესიები, ვინაიდან დამოკიდებულ ცვლადს ამ შემთხვევაში ორდინალური ფორმა აქვს. ჰეტეროსკედასტიკის პრობლემის გადაჭრისთვის, რეგრესიებში გამოთვლილია რობუსტული სტანდარტული შეცდომები (Cameron and Trivedi, 2009), მაგრამ სივრცის შეზღუდულობის გამო, მათი წარმოდგენა არ ხდება მოცემულ ცხრილებსა და გრაფიკებში.

## ცვლილებები საგანმანათლებლო და პროფესიულ სტრუქტურაში


ვიდრე ცხოვრებისეულ შესაძლებლობებში კონსტრუირებულ უთანასწორობას შევისწავლით, საჭიროა საგანმანათლებლო და პროფესიულ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების მიმოხილვა. სტრუქტურულ ცვლილებებს პირდაპირი გავლენა აქვს კონსტრუირებულ უთანასწორობაზე, რადგან ცვლილებები საგანმანათლებლო სისტემაში, განათლების ზოგად დონესა და სამუშაო ბაზარზე არსებულ პირობებში, გავლენას ახდენს სამუშაო ძალისა და არსებული სამუშაო ადგილების შესაბამისობაზე (Gerber, 2002). სხვა ნორმალურ პირობებში, განათლების დონის ზრდა უნდა უკავშირდებოდეს მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შესაბამისი რაოდენობით ზრდას. მეორეს მხრივ, თუ უმაღლეს განათლებულთა რიცხვი აჭარბებს შესაბამისი სამუშაო ადგილების რაოდენობას, შესაძლებელია, შედეგად კონსტრუირებულმა უთანასწორობამ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღოს.

### განათლების გაუფასურება

დიაგრამა 3 ნათლად გვიჩვენებს ორივე სქესისთვის განათლების დონის ზრდას მე-20 საუკუნეში დაბადებულ თაობებს შორის. ადამიანები მხოლოდ დაწყებითი განათლების დონით უკვე აღარ ჩანან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თაობებში. ამ პერიოდამდე ქალებს უფრო დიდი წილი ეკავათ გაუნათლებლებსა და უფრო მცირე წილი განათლებულებს შორის. სქესთა საგანმანათლებლო ბალანსი მხოლოდ 1961-65 წლებში გათანაბრდა, თუმცა კვლავ გაიზარდა უკანასკნელი თაობისთვის. ბოლო ორი ათწლეულის ტენდენციები მიგვანიშნებს უმაღლესი და არასრული ზოგადი განათლების მნიშვნელოვან ზრდაზე, პროფესიული განათლების წილის შემცირების ხარჯზე. საინტერესოა, რომ ქალებს შორის პროფესიული განათლების მქონეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად სწრაფად შემცირდა, ვიდრე კაცებში. ეს ტენდენცია შეესაბამება ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით არსებულ მდგომარეობას 1989 წლის შემდეგ პროფესიული განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობის შემცირების შესახებ (Branco, 2010). მხოლოდ დაწყებითი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობა, როგორც ჩანს, ასევე გაიზარდა დაახლოებით ორჯერ, წინა თაობებთან შედარებით. მთლიანობაში, ქალები ხასიათდებიან უფრო მაღალი განათლების დონით, ვინაიდან პროფესიული განათლების მიღების ალბათობა მათთვის უფრო მაღალია, მაშინ, როდესაც კაცები საშუალო განათლების მიღების შემდეგ მისი მიღების შეწყვეტის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან.

დიაგრამა 3: სანაგმანათლებლო სტრუქტურის ცვლილებები 1890-1980

წლებში დაბადებულთათვის



შენიშვნები: ISCED 0=დაწყებითი განათლების გარეშე, ISCED 1=დაწყებითი განათლება, ISCED 2=არასრული საშუალო განათლება, ISCED 3=სრული საშუალო განათლება, ISCED 4=საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება, ISCED 5=უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ISCED 6=უმაღლესი განათლების მეორე საფეხური. წყარო: ავტორის გათვლები ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) მონაცემთა საფუძველზე

განათლების დონის ზრდის გავლენა განათლების ხელმისაწვდომაზე არ არის ცალსახა. ერთის მხრივ, ახალმა ადგილებმა უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება გამოიწვიოს ყველა სოციალური ჯგუფისთვის მეტი შესაძლებლობების მინიჭება, თუმცა, მეორეს მხრივ, მაქსიმალურად შენარჩუნებული უთანასწორობის ჰიპოთეზის მიხედვით (Raftery and Hout, 1993), ასეთი ზრდა უპირველესად და ძირითადად შეეხება იმ ახალგაზრდებს, ვინც შედარებით მაღალი სოციალური სტატუსის ოჯახებიდან არიან, თუმცა ასეთი გაფართოების გარეშე, ვერ შეძლეს უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა. გარდა ამისა, უფრო განათლებულმა სამუშაო ძალამ უნდა განაპირობოს უკეთესი კეთილდღეობის მაჩვენებლები, თუმცა ეს სავარაუდოდ მაშინ ხდება, როდესაც ადგილი აქვს პარალელურ ცვლილებებს პროფესიულ სტრუქტურაში. ცნობილია, რომ როდესაც საგანმანათლებლო ზრდა წინ უსწრებს პროფესიული სტრუქტურის ცვლილებებს, ადგილი აქვს ფორმალური განათლების გაუფასურების პროცესს (Wolbers et al., 2001). განათლების გაუფასურების მახასიათებელია, როდესაც განათლება ხდება აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა სამუშაო ბაზარზე წარმატებისთვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკლებად განათლებულებს სამუშაო ადგილებისთვის უწევთ კონურენცია უფრო მაღალი განათლების მქონეებთან. სხვა თანაბარ კონკურენტულ პირობებში, დამსაქმებლები ამჯობინებენ ფორმალურად უფრო განათლებულ კადრებს, თუმცა ბევრი რამ დამოკიდებულია სამუშაო ბაზრის ხასიათზე, რაც შემდეგ ნაწილშია განხილული.

**ცვლილებები პროფესიულ სტრუქტურაში**


დიაგრამა 4-ზე ასახულია პროფესიულ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები 1890-80 წლებში გაჩენილი თაობებისთვის. ასახულ ტენდენციებში რამდენიმე მახასიათებელია გამოსაყოფი. ცალსახაა ელემენტარული პროფესიების წილის შემცირების ტენდენცია

სამუშაო ადგილების მთლიან განაწილებაში. თუ მე-20 საუკუნემდე დაბადებულთა შორის არაკვალიფიციური პროფესიები გაყიდვების, სერვისის, მშენებლობის, წარმოების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და დაკავშირებულ სფეროებში უზრუნველყოფდა სამუშაო ადგილების 40 პროცენტს, მისი წილი შემცირდა 10 პროცენტამდე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თაობებისთვის. მეორეს მხრივ, ზრდას ჰქონდა ადგილი მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურების სფეროში, როგორც რუსეთის იმპერიის, ასევე საბჭოთა და დამოუკიდებელი საქართველოს დროს. ხშირად მომსახურების მაღალი წილი, სადაც ქალები ჭარბობენ, არის ეკონომიკური განავითარების მახასიათებელი. ინდუსტრიალიზაციის პროცესის პარალელურად, სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებისა და ამწყობების წილი ასევე იზრდებოდა მე-20 საუკუნის დიდი ნაწილის განმავლობაში, თუცა მისი შემცირება დაიწყო უკვე 1960-იანი წლების შემდგომი თაობებისთვის. აღნიშნულ პროფესიებში კაცები ჭარბობენ. დიაგრამა 4 ასევე აჩვენებს, რომ კანონმდებლების, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირების, მენეჯერებისა და სპეციალისტ-პროფესიონალების წილი მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. სპეციალისტ-პროფესიონალების წილი მხოლოდ ნაწილობრივ გაიზარდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით, ქალებს შორის. უკანასკნელი ორი თაობისთვის, ეკონომიკურად აქტიური ქალების 35 პროცენტზე მეტი მიეკუთვნება ISCO 2-ში შემავალ ერთ-ერთ პროფესიას.

საგანმანათლებლო და პროფესიულ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების ერთობლოვი მიმოხილვა რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ზრდას როგორც განათლების ასევე პროფესიული კუთხით, 1970-იანი წლებიდან მოყოლებული საგანმანათლებლო პროფესიები არ იყო დაკავშირებული შესაბამის ზრდასთან პროფესიულ სტრუქტურაში, განსაკუთრებით, კანონმდებლების, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებისა და მენეჯერულ პროფესიებში. საინტერესოა, რომ ქალებს შორის პროფესიონალური სამუშაო ადგილების წილი გაიზარდა 10 პროცენტული ერთეულით, მაგრამ ეს ზრდა ძირითადად დაკავშირებულია იმ ქალთა წილის შემცირებასთან, რომლებიც მიუთითებენ რაიმე პროფესიულ კუთვნილებას (75.0-დან 1966-70 წლებში 43.2 პროცენტამ 1976-80 წლებში), მაშინ, როდესაც კაცებს შორის შესაბამისი მაჩვენებელი გაცილებით დაბალია (96.9 დან 1966-70-ში to 77.1 პროცენტამდე 1976-80 წლებში). ეს ნიშნავს იმას, რომ ქალები უფრო შეზღუდულები არიან სამუშაო ბაზარზე ჩართვაში, თუმცა თუ ისინი მონაწილეობენ, ISCO 1-2 პროფესიებში მოხვედრის უფრო მაღალი ალბათობა გააჩნიათ. ქალების რაოდენობა ძალიან შეზღუდულია სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის, სახელობო და დაკავშირებულ პროფესიებში. შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრესმა გადაუსწრო პროფესიულ ზრდას ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რაც განათლების გაუფასურებას განაპირობებს. უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაბადებულთა შორის, სამუშაო ძალის ბაზარი ვერ ახერხებდა ყველა უმაღლეს დამთავრებულისთვის ISCO 1 და 2 სამუშაო ადგილების მინიჭებას. თუმცა, უფრო მასშტაბური განათლების გაუფასურებას ადგილი ჰქონდა 1970-იანი წლების შემდეგ დაბადებული თაობებისთვის. ბოლო მაჩვენებლების მიხედვით, 40 პროცენტზე მეტ კაცს აქვს უმაღლესი განათლება, თუმცა კანონმდებლებს, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებს, მენეჯერებს და სპეციალისტ-პროფესიონალებს შორის 20 პროცენტზე ნაკლებია დასაქმებული. ნათელია, რომ უმაღლესი განათლება სულ უფრო ხელმისაწვდომია ახალგაზრდობისთვის, თუმცა ეს

განათლება სულაც არ განაპირობებს მაღალკვალიფიციური სამსახურის მოძიების შესაძლებლობას.

დიაგრამა 4: პროფესიული სტრუქტურის ცვლილებები 1890-1980 წლებში დაბადებულთათვის



*შენიშვნები:* ISCO 1=კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები; ISCO 2=სპეციალისტ-პროფესიონალები; ISCO 3=სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი; ISCO 4=ოფისის პერსონალი; ISCO 5=მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი; ISCO 6=სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები; ISCO 7= ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები; ISCO 8=სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები; ISCO 9=არაკვალიფიციური მუშები. წყარო: ავტორის გათვლები ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) მონაცემთა საფუძველზე


### სოციალური წარმომავლობა და საგანმანათლებლო და პროფესიული წარმატება

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რა კავშირი არსებობს ერთის მხრივ ცვალებადი განათლებისა და სამუშაო ბაზრის სტრუქტურასა და, მეორეს მხრივ, მოპოვებულ საგანმანათლებლო და პროფესიულ პოზიციას შორის, დიაგრამა 5-ში მოცემულია რეგრესიული კოეფიციენტები, რომლებიც ასახავენ რესპონდენტების ISCED 5-6 და ISCO 1-2-ის კავშირს მათი მშობლების განათლებასა და პროფესიასთან. რეგრესიები ჩატარებულია რესპონდენტების დაბადების ყოველი წლისთვის, დაწყებული 1926 წლიდან და დამთავრებული 1983 წლამდე, რაც მთლიანობაში შეადგენს 58 ცალკეულ წელ-რეგრესიას. დიაგრამაზე გამოსახული წრფივი რეგრესიული კოეფიციენტების უმრავლესობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. 1940-იან წლებამდე კავშირი მშობლებისა და მათი შვილების განათლების დონეებს შორის არ იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, თუმცა კაცებისთვის ეს ასოციაცია უფორ მაღალია, ვიდრე ქალებისთვის. ასეთმა კავშირმა უფრო სტაბილურ ხასიათი მიიღო მათვის, ვინც 1950-იან წლებში დაიბადა, ხოლო კაცებისა და ქალების მაჩვენებლები ერთმანეთთან ახლოს მივიდა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური წარმომავლობის როლის ზრდა უკვე 1960-იანი წლების ბოლოში და 1970-იანების წლების დასაწყისში შეინიშნება, ის განსაკუთრებით გაიზარდა 1973 წლის შემდეგ. ეს პერიოდი

ემთხვევა იმ თაობას, ვისაც მოუწია მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო გადაწყვეტილებების მიღება გარდამავალი პერიოდის პირველ წლებში. ყველაზე მაღალი კავშირი მშობლებისა და შვილების განათლებას შორის ფიქსირებდა მათთვის, ვინც დაიბადა 1981 წელს და ვისაც ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფაზაში შესვლა მოუწია 1990-იანი წლების დასაწყისში. მიმდინარე საომარი მოქმედებები, ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი, ასევე მნიშვნელოვანი შემცირებანი საგანმანათლებლო და სხვა სახის საჯარო მომსახურებაში უნდა ასახულიყო მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე. თუმცა გაზრდილი ასოციაცია მშობლებისა და მათი შვილების განათლების დონეებს შორის მიუთითებს, რომ ყველას არ გააჩნდა ერთნაირი შესაძლებლობები. ბავშვებს მშობლების უკეთესი განათლებით გააჩნდათ უმაღლესი განათლების მოპოვების უფრო მაღალი შანსი.

თავად ფაქტი, რომ მშობლების განათლება გახდა უფრო მნიშვნელოვანი შვილების უმაღლესი განათლების მიღებისთვის, არაფერს ამბობს იმის შესახებ, პროფესიული წარმატება უფრო მეტად უკავშირდება თუ არა სოციალურ წარმომავლობას. დიაგრამა 5 აჩვენებს ასოციაციას წლების მიხედვით მშობლებისა და მათი შვილების მაღალკვალიფიციურ პროფესიებს შორის. განათლებისგან განსხვავებით, უფრო ბუნდოვან სურათს ვხედავთ მე-20 საუკუნის განმავლობაში. რეგრესული კოეფიციენტები იზრდება 1940-იან წლებში დაბადებულთა შორის. მსგავსი ტენდენცია ასევე აღინიშნება განათლების მიხედვით. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია იყოს მეორე მსოფლიო ომი. არ არის გამორიცხული, რომ მაღალი სოციალური სტატუსის ოჯახები უფრო დიდი ალბათობით არიდებდნენ თავს ომში პირდაპირ მონაწილეობას და, შესაბამისად, ჰქონდათ გადარჩენისა და შვილების ყოლის უფრო მაღალი შანსი. თუ ამას რეალურად ჰქონდა ადგილი, მაშინ ეს უნდა ასახულიყო კონსტრუირებულ უთანასწორობაზე. 1940-იანი წლების ბოლოსა და 1950-იანი წლების დასაწყისში რეგრესიული კოეფიციენტების ზომა კლებულობს, მაგრამ კვლავ იზრდება 1970-იან წლებში, განსაკუთრებით ქალებისთვის. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ტენდენციები განათლებისა და პროფესიების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან არის ის, რომ ეს უკანასკნელი პროცესი განათლების მიღებაზე გაცილებით დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება და, შესაბამისად, სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება აისახოს უფრო გვიან, ვიდრე განათლების სფეროში. მეორე ახსნა შეიძლება იყოს ის, რომ უთანასწორობა გაიზრდა მხოლოდ განათლების მიღების მიხედვით, მაშინ, როდესაც განათლების მნიშვნელობის ზრდის პირობებში, სამუშაო ბაზარზე მისი მიხედვით შერჩევამ უფრო დიდი როლი შეიძინა. ამ მოსაზრებებზე უფრო კონკრეტული პასუხი ამ მრავალცვლადიან ანალიზშია მოცემული.

დიაგრამა 5: უმაღლესი განათლებისა (ISCED 5-6) და მაღალკვალიფიციური პროფესიის (ISCO 1-2) მოპოვება და მშობლების განათლება და პროფესია, კოეფიციენტები უმცირეს კვადრატთა რეგრესიებიდან



შენიშვნები: \* აღნიშნავს 0.10 დონის ან უფრო მაღალ სტატისტიკურ მნიშვნელობას. ცალკე რეგრესიები ჩატარებულია თითოეული წლისთვის, საკონტროლო ცვლადების გარეშე. წყარო: ავტორის გათვლები ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) მონაცემთა საფუძველზე

## მრავალცვლადიანი ანალიზი და კონსტრუირებული უთანასწორობა

მრავალცვლადიანი ანალიზი იწყება სოციალურ წარმომავლობასა და რესპონდენტების საგანმანათლებლო და პროფესიულ წარმატებას შორის კავშირის გამოკვლევით. ამას მოსდევს ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე სხვა კონსტრუირებული ფაქტორების ანალიზი. ყოველ მოდელში, როდესაც საგანმანათლებლო წარმატებაზე აღნიშნული ფაქტორების შესწავლა ხორციელდება, ხდება სოციალური წარმომავლობის გაკონტროლება, ხოლო იმ მოდელებში, სადაც მაღალკვალიფიციური პროფესიის მიღწევის შეფასება კეთდება, ასევე გაკონტროლებულია რესპონდენტების განათლების დონე.

### მშობლების განათლება და პროფესია

ცხრილ 1-ში მოცემულია წრფივი ალბათური მოდელებიდან მიღებული კოეფიციენტები, სადაც რესპონდენტების სქესი და ასაკი კონტროლდება. როგორც მოსალოდნელი იყო, მშობლების სოციო-ეკონომიკური სტატუსი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული რესპონდენტების საგანმანათლებლო მიღწევებთან. თაობათა კოეფიციენტები ასევე აჩვენებენ, რომ უმაღლესი განათლების შესაძლებლობები გაიზარდა მათთვის, ვინც დაიბადა 1971-80 წლებში, 1966-70 წლებში დაბადებულებთან შედარებით. ჰიპოთეზა 1-ის შესაბამისად, მშობლების განათლება ძლიერ გავლენას ახდენს რესპონდენტების განათლებაზე. მშობლების ISCED-ის შკალის 1 ერთეულით ზრდა უკავშირდება უმაღლესი განათლების მიღების 16 პროცენტით უფრო მაღალ ალბათობას, როდესაც მშობლების პროფესია გაკონტროლებულია.



იგივე მიესადაგება მშობლების პროფესიას. იმ ოჯახებიდან წარმომავლობა სადაც მამას ან დედას გააჩნია ISCO 1-2-ის პროფესია, ზრდის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას 41 პროცენტით. მოდელ 5-ში, როდესაც განათლებისა და თაობებს შორის ინტერაქცია შეყვანილია, აღნიშნული ეფექტი დაახლოებით ორჯერ მცირდება და შეადგენს 19 პროცენტს. მეორეს მხრივ, მშობლების არაკვალიფიციური პროფესია ამცირებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას 21 (9) პროცენტით, როდესაც მშობლების განათლება არ არის (არის) გაკონტროლებული. მოდელების სტატისტიკური მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მშობლების განათლება უფრო მნიშვნელოვანი კონსტრუირებადი ფაქტორია შვილების უმაღლესი განათლების მიღებისთვის (ვარიაციის 21 პროცენტი), ვიდრე მშობლების პროფესია (ვარიაციის 14 პროცენტი).

მოდელები ცხრილ 1-ში ასევე პასუხს სცემენ წინა თავში წამოჭრილ კითხვას: იცლებოდა, თუ არა სოციალური წარმომავლობიდან გამომდინარე უმაღლესი განათლების მიღების შანსები 1926-85 წლებში. ეს ხერხდება თაობებისა და მშობლების განათლებისა და პროფესიის ინტერაქციების რეგრესიებში ჩასმით. მოდელი 2 მოიცავს მხოლოდ თაობა-მშობლების განათლების ინტერაქციას და გვიჩვენებს, რომ მშობლების განათლების მნიშვნელობა გაიზარდა მათვის, ვინც 1971-80 წლებში დაიბადა. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც არ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგი 1981-85 წლების თაობისთვის არის ის, რომ ანალიზი გამორიცხავს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც 2006 წელს ჯერ კიდევ სწავლობდნენ. შედეგები მეტყველებს, რომ კონსტრუირება უმაღლესი განათლების მოპოვებაში უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო ყველა თაობისთვის 1970-იან წლებამდე. მოდელი 4 ასევე აჩვენებს, რომ მაღალკვალიფიციური მშობლების ყოლის მნიშვნელობა დიდად არ შეცვლილა განხილულ პერიოდში, მაგრამ არაკვალიფიციური პროფესიის მქონე მშობლების ყოლის ნეგატიური ეფექტი გაიზარდა მათთვის, ვინც დაიბადა 1976-85 წლებში, 1966-70 წლებში დაბადებულებთან შედარებით. მოდელი 6 ერთდროულად მოიცავს მშობლების განათლებისა და პროფესიის თაობებთან ინტერაქციას, თუმცა ამ შემთხვევაში, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ფიქსირდება, რაც სოციალური წარმომავლობის ამ ორ კომპონენტს შორის მჭიდრო კავშირზე შეიძლება მეტყველებდეს.

ცხრილი 1: უმაღლესი განათლების (ISCED 5-6) და კვალიფიციური პროფესიის (ISCO 1-2) მიღების კავშირი მშობლების განათლებასა (ISCED 0-6) და პროფესიასთან (ISCO 1-2 and 9), რეგრესიული კოეფიციენტები წრფივი ალაბთობის რეგრესიული მოდელებიდან

	მოდ. 1	მოდ. 2	მოდ. 3	მოდ. 4	მოდ. 5	მოდ. 6
მუდმივი	-.53***	-.64***	.19	.21*	-.40***	-.47***
სოციალური წარმომავლობა						
მშობლების განათლ. (isced 0-6)	.15***	.18***	-	-	.13***	.16***
მშობლების პროფესია (isco 1-2)	-	-	.39***	.41***	.19***	.19***
მშობლების პროფესია (isco 9)	-	-	-.13***	-.21***	-.05***	-.09***
თაობები						
თაობა 1926-30	-.16	.08	-.19	-.22	-.12	.13
თაობა 1931-35	-.12	.10	-.16	-.22*	-.09	.01
თაობა 1936-40	-.13	.11	-.13	-.13	-.09	.15
თაობა 1941-45	-.07	.05	-.07	-.06	-.05	.01
თაობა 1946-50	-.06	.13*	-.04	-.03	-.04	.08
თაობა 1951-55	-.06	.14**	-.05	-.04	-.04	.12
თაობა 1956-60	-.02	.13**	-.03	-.07	-.01	.06

თაობა 1961-65	-.02	.05	-.03	-.04	-.02	.07
თაობა 1971-75	.06***	-.06	.05**	.04	.05**	-.07
თაობა 1976-80	.14***	-.03	.11***	.09**	.11***	-.06
თაობა 1981-85	.04	-.08	.00	-.03	.00	-.13
თაობა-განათლების ინტერაქცია						
თაობა 1926-30 * მშობ.განათ.	-	-.11***	-	-	-	-.11***
თაობა 1931-35 * მშობ.განათ.	-	-.08***	-	-	-	-.04*
თაობა 1936-40 * მშობ.განათ.	-	-.09***	-	-	-	-.08***
თაობა 1941-45 * მშობ.განათ.	-	-.03**	-	-	-	-.01
თაობა 1946-50 * მშობ.განათ.	-	-.05***	-	-	-	-.03
თაობა 1951-55 * მშობ.განათ.	-	-.06***	-	-	-	-.05**
თაობა 1956-60 * მშობ.განათ.	-	-.04***	-	-	-	-.03
თაობა 1961-65 * მშობ.განათ.	-	-.02	-	-	-	-.02
თაობა 1971-75 * მშობ.განათ.	-	.03*	-	-	-	.03
თაობა 1976-80 * მშობ.განათ.	-	.04**	-	-	-	.04
თაობა 1981-85 * მშობ.განათ.	-	.03	-	-	-	.03
თაობა-isco 1-2 ინტერაქცია						
თაობა 1926-30 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-.10	-	.07
თაობა 1931-35 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-.03	-	-.08
თაობა 1936-40 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-.10	-	-.01
თაობა 1941-45 * მშობ. isco 1-2	-	-	-	.01	-	-.05
თაობა 1946-50 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-.11*	-	-.10
თაობა 1951-55 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-.12*	-	-.06
თაობა 1956-60 * მშობ. isco 1-2	-	-	-	.03	-	.04
თაობა 1961-65 * მშობ. isco 1-2	-	-	-	.02	-	.01
თაობა 1971-75 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-.00	-	-.00
თაობა 1976-80 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-.02	-	-.01
თაობა 1981-85 * მშობ. isco 1-2	-	-	-	.00	-	.01
თაობა-isco 9 ინტერაქცია						
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.13**	-	.04
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.18***	-	.11*
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.06	-	-.01
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.01	-	.01
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.05	-	.02
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.08*	-	.04
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.14***	-	.09**
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.02	-	-.01
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.06	-	.06
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.08*	-	.06
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	.17***	-	.08
დაკვირვებები	8812	8812	8098	8098	7838	7838
კორექტირებული R <sup>2</sup>	.20	.21	.14	.14	.22	.23

*შენიშვნები:* \*\*\*, \*\*, და \* აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობას 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. რეგირებადი კატეგორიები: მშობლების პროფესია ISCED 3-8, თაობა 1965-70, თაობა 1965-70\*მშობლების განათლება. თაობა 1965-70\*მშობლების პროფესია ISCED 3-8. მოდელებში რესპონდენტთა სქესი და ასაკი კონტროლდება. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) მონაცემთა საფუძველზე

მოდელები ცხრილ 2-ში ამოწმებენ ჰიპოთეზა 2-ს, თუ როგორ უკავშირდება მაღალკვალიფიციური პროფესიის მოპოვების შესაძლებლობა სოციალურ წარმომავლობასა და რესპონდენტების განათლებას. მოდელებში 2, 4, და 6, როდესაც რესპონდენტთა განათლების შეყვანა ხდება რეგრესიებში, მშობლების განათლებისა და პროფესიის როლი

მნიშვნელოვნად მცირდება, მაგრამ მაინც ინარჩუნებს სტატისტიკურ რელევანტურობას. მოდელებში 3, 6 და 9, 1876-80 და 1981-85 წლების თაობათა კოეფიციენტები მეტყველებენ, რომ სამუშაო ძალის ბაზარმა შექმნა ახალი მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილები. როდესაც დროისა და რესპონდენტების განათლების ეფექტი გათვალისწინებულია, მშობლების განათლების ერთი საფეხურით ზრდა უკავშირდება მაღალკვალიფიციური პროფესიის მოპოვების 5 პროცენტით ზრდას. თაობებისა და მშობლების განათლების ინტერაქციები მიგვითითებენ მშობლების განათლების ზრდად მნიშვნელობაზე მაღალკვალიფიციური პროფესიის მოპოვებაში. მოდელებში 4, 5, და 6 მშობლების პროფესიაც მნიშვნელოვანი ფაქტორია შვილების პროფესიულ წარმატებაში. ISCO 1-ისა და ISCO 9-ის წარმომავლობა, შესაბამისად, დადებითად და უარყოფითად უკავშირდება მაღალკვალიფიციური პროფესიის მოპოვების ალბათობას. როდესაც რესპონდენტთა განათლება კონტროლდება მოდელ 6-ში, ეს ეფექტი შესაბამისად აღწევს 13 და -4 პროცენტს. მშობლების განათლება და პროფესია ცალ-ცალკე ინარჩუნებს ძლიერ სტატისტიკურ მნიშვნელობას მოდელებში 7, 8, და 9, როდესაც ყველა სოციალური წარმომავლობის ფაქტორი შესულია რეგრესიებში.

თაობა-პროფესიის ინტერაქცია მოდელებში 5 და 6 ასევე მიგვანიშნებენ მშობლების პროფესიის ზრდად მნიშვნელობაზე მათი შვილების შესაძლებლობებში - მოიპოვონ მაღალკვალიფიციური პროფესია. ეს ეფექტი ასევე ნარჩუნდება მოდელებში 8 და 9 როდესაც მშობლების განათლება და თაობა - მშობლების განათლება გათვალისწინებულია. შესაძლებელია, რომ ცხრილის ყველაზე საინტერესო მიგნება მოცემულია მოდელებში 3, 6, და 9, როდესაც რესპონდენტების განათლება გაკონტროლებულია. საკუთარი განათლება ცალსახად ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია პროფესიული წარმატებისთვის და მისი შეყვანა მოდელებში ზრდის დამოკიდებული ცვლადის ახსნად ვარიაციას 17 და 20 პროცენტული ერთულით მოდელებში 6 და 9. ფაქტი, რომ რესპონდენტების განათლება გადამწყვეტი ფაქტორია სამუშაო ძალის ბაზარზე წარმატებისთვის დადებითი მოვლენაა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობის შემცირება მეორე მხრივ ნაკლებად არის პოზიტიური მოვლენა. ყველა მოდელში თაობასა და რესპონდენტთა განათლების ინტერაქცია მიგვანიშნებს რომ რესპონდენტთა განათლების როლი სამუშაო ძალის ბაზარზე წარმატებაში მცირდება მათთვის, ვინც დაიბადა 1976-80 და 1981-85 წლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოპოვებულმა განათლებამ შეიძლება განაპირობოს უკეთესი პროფესიული წარმატება მას შემდეგ, რაც რესპონდენტებს ასაკი გაიზრდება. ვინაიდან ბოლო ორი თაობა წარმოდგენილია იმ ადამიანებით, ვისი ასაკიც 21-დან 30 წლამდე მერყეობს, შედეგი არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საბოლოო სურათი სამუშაო ძალის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ. წარმოდგენილი მტკიცებულებები ცალსახად მიანიშნებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირზე სოციალურ წარმომავლობასა და ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე, მაგრამ ზუსტი მექანიზმი, თუ როგორ ხდება უთანასწორობის წარმოება და შენარჩუნება არ არის ცნობილი.

ცხრილი 2: მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლება (ISCO 1-2) და მშობლების განათლება (ISCED 0-6) და პროფესია (ISCO 1-2 და 9), კოეფიციენტები წრფივი ალბათობის რეგრესიული მოდელებიდან

	მოდ. 1	მოდ. 2	მოდ. 3	მოდ. 4	მოდ. 5	მოდ. 6	მოდ. 7	მოდ. 8	მოდ. 9
მუდმივი	-.39***	-.43***	-.97***	.21	.24*	-.73***	-.24*	-.27**	-.85***
სოციალური წარმომავლობა									
მშობლების განათლ. (isced 0-6)	.11***	0.13***	.05***	-	-	-	.09***	.10***	.04***
მშობლების პროფესია (isco 1-2)	-	-	-	.34***	.28***	.13***	.20***	.14***	.09*
მშობლების პროფესია (isco 9)	-	-	-	-.10***	-.14***	-.05*	-.04***	-.06**	-.03
რესპონდენტის განათლება									
Isced 0-6	-	-	.20***	-	-	.21***	-	-	.20***
თაობები									
თაობა 1926-30	-.04	.03	.21	-.01	.02	.24*	.01	.09	.11
თაობა 1931-35	-.01	.05	.26**	-.01	-.05	.26**	.01	-.04	.11
თაობა 1936-40	-.02	.11	.12	.02	.03	.09	.02	.16	.08
თაობა 1941-45	-.03	-.02	.05	.01	.04	.02	-.00	-.04	-.10
თაობა 1946-50	-.01	.01	-.10	.03	.03	-.09	.01	.01	-.13
თაობა 1951-55	-.03	.09	-.03	-.01	-.01	-.08	-.01	.06	-.09
თაობა 1956-60	-.01	.08	-.03	-.00	-.03	-.09	.00	.03	-.08
თაობა 1961-65	-.00	.04	-.05	-.01	-.01	.00	-.00	.08	.01
თაობა 1971-75	.03	.01	.09	.01	-.02	.09	.02	.04	.13
თაობა 1976-80	.08**	-.09	.16*	.04	-.01	.31***	.05	-.02	.25**
თაობა 1981-85	.04	-.17*	.30***	-.01	-.05	.52***	.01	-.05	.44***
თაობა-განათლების ინტერაქცია									
თაობა 1926-30 * მშობ.განათ.	-	-.03	-.01	-	-	-	-	-.02	-.01
თაობა 1931-35 * მშობ.განათ.	-	-.02	-.02	-	-	-	-	.02	.01
თაობა 1936-40 * მშობ.განათ.	-	-.05***	-.04**	-	-	-	-	-.05**	-.04**
თაობა 1941-45 * მშობ.განათ.	-	.00	.00	-	-	-	-	.03	.01
თაობა 1946-50 * მშობ.განათ.	-	-.00	.01	-	-	-	-	.00	-.00
თაობა 1951-55 * მშობ.განათ.	-	-.04**	-.02*	-	-	-	-	-.03	-.02
თაობა 1956-60 * მშობ.განათ.	-	-.03*	-.02	-	-	-	-	-.02	-.01
თაობა 1961-65 * მშობ.განათ.	-	-.01	-.01	-	-	-	-	-.02	-.02
თაობა 1971-75 * მშობ.განათ.	-	.00	-.01	-	-	-	-	-.01	-.02
თაობა 1976-80 * მშობ.განათ.	-	.04**	.03	-	-	-	-	.00	.01
თაობა 1981-85 * მშობ.განათ.	-	.05**	.07**	-	-	-	-	.00	.02
თაობა-isco 1-2 ინტერაქცია									
თაობა 1926-30 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	-.05	-.01	-	-.02	.01
თაობა 1931-35 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	.10	.06	-	-.06	-.01
თაობა 1936-40 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	-.04	-.03	-	-.02	-.00
თაობა 1941-45 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	.00	-.01	-	-.09	-.05


თაობა 1946-50 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	.06	.09	-	.04	.08
თაობა 1951-55 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	-.01	.02	-	.02	.03
თაობა 1956-60 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	.07	.04	-	.07	.05
თაობა 1961-65 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	.05	.06	-	.06	.08
თაობა 1971-75 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	.07	.07	-	.11	.10
თაობა 1976-80 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	.18**	.20***	-	.20**	.20**
თაობა 1981-85 * მშობ. isco 1-2	-	-	-	-	.15*	.20**	-	.16	.19*
თაობა-isco 9 ინტერაქცია									
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	.00	-.00	-	-.02	.00
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	.11**	.06	-	.08	.07
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	.04	-.00	-	-.00	-.02
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	-.06	-.03	-	-.02	-.01
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	.02	.03	-	.02	.03
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	.06	.03	-	.04	.02
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	.10**	.03	-	.07*	.02
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	-.03	-.04	-	-.05	-.04
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	.05	.04	-	.04	.03
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	.03	-.01	-	.01	-.00
თაობა 1926-30 * მშობ. isco 9	-	-	-	-	.07	-.01	-	.00	-.03
თაობა-რესპ.განათ. ინტერაქცია									
თაობა 1926-30 * რესპ. isced 0-6	-	-	-.05**	-	-	-.05**	-	-	-.01
თაობა 1931-35 * რესპ. isced 0-6	-	-	-.06**	-	-	-.07***	-	-	-.04
თაობა 1936-40 * რესპ. isced 0-6	-	-	-.01	-	-	-.02	-	-	.01
თაობა 1941-45 * რესპ. isced 0-6	-	-	-.02	-	-	-.00	-	-	.01
თაობა 1946-50 * რესპ. isced 0-6	-	-	.01	-	-	.02	-	-	.03
თაობა 1951-55 * რესპ. isced 0-6	-	-	.01	-	-	.01	-	-	.03
თაობა 1956-60 * რესპ. isced 0-6	-	-	.02	-	-	.01	-	-	.02
თაობა 1961-65 * რესპ. isced 0-6	-	-	.02	-	-	-.00	-	-	.01
თაობა 1971-75 * რესპ. isced 0-6	-	-	-.00	-	-	-.02	-	-	-.01
თაობა 1976-80 * რესპ. isced 0-6	-	-	-.05**	-	-	-.07***	-	-	-.07***
თაობა 1981-85 * რესპ. isced 0-6	-	-	-.12***	-	-	-.12***	-	-	-.13***
დაკვირვებები	6926	6926	6926	6390	6390	6390	6167	6167	6167
კორექტირებული R <sup>2</sup>	.14	.15	.32	.13	.13	.33	.17	.17	.34

შენიშვნები: \*\*\*, \*\*, და \* აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობას 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. რეფერირებადი კატეგორიებია: მშობლების პროფესია ISCED 3-8, თაობა 1965-70, თაობა 1965-70\*მშობლების განათლება. თაობა 1965-70\*მშობლების პროფესია ISCED 3-8. მოდელებში რესპონდენტთა სქესი და ასაკი კონტროლდება. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ოჯახური ურთიერთობების და თაობათა ურთიერთდამოკიდებულის გამოკვლევების (UNECE, 2012) მონაცემთა საფუძველზე

## სწავლის სპეციალიზაცია

როგორც აღნიშნულია ჰიპოთეზა 3-ში, ერთ-ერთი გზა, რომლის მეშვეობითაც სოციალური წარმომავლობა შეიძლება უკავშირდებოდეს პროფესიულ წარმატებას არის მშობლების სოციალური სტატუსის გავლენა სწავლების შერჩეულ სპეციალობაზე. დიაგრამა 6-ში მოცემულია მულტინომიური რეგრესიული კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ უკავშირდება მშობლების ISCED შვილების სპეციალიზაციას, მშობლების პროფესიის გაკონტროლების პირობებში. 1976-85 წლებში დაბადებული თაობისთვის, მშობლების განათლების გავლენა ყველაზე შესამჩნევია არქიტექტურულ და საინჟინრო სპეციალობების შერჩევაზე. მშობლების განათლება ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური მეცნიერების, ბიზნესისა და სამართლის სპეციალობების არჩევაზე. წარმომავლობას ყველაზე ნაკლები გავლენა აქვს საოფისე და მომსახურების სფეროსთან დაკავშირებულ სპეციალობებზე. ზოგადი ტენდენცია, რაც დიაგრამიდან იკვეთება არის ის, რომ მშობლების განათლების როლი სპეციალობის შერჩევაში იზრდებოდა გასული საუკუნის განმავლობაში. რეგრესიულ კოეფიციენტებს ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ 1955 წლამდე დაბადებულ თაობებში, ხოლო ყველაზე მაღალი - 1976-85 თაობაში. წინა თავში მოყვანილი მიგნებების მსგავსად, მშობლების განათლება გახდა არა მარტო მნიშვნელოვანი ფაქტორი უმაღლესი განათლების მიღებაში, არამედ, ასევე განათლების სპეციალიზაციის შერჩევაში. კვლევის შემდეგი ეტაპია იმის გარკვევა, ახდენს თუ არა შერჩეული სპეციალიზაცია გავლენას მაღალკვალიფიციური პროფესიის მოპოვების შანსებზე.

დიაგრამა 6: განათლების სხვადასხვა სპეციალობის შერჩევის კავშირი მშობლების განათლებასთან (დიაგრამა 6ა, მულტინომიური რეგრესიული კოეფიციენტები) და მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლებისა და სხვადასხვა სპეციალობის კავშირი (დიაგრამა 6ბ, წრფივი ალბათობის რეგრესიული კოეფიციენტები)



*შენიშვნები:* \* აღნიშნავს 0.10 დონის ან უფრო მაღალ სტატისტიკურ მნიშვნელობას. რეფერენციადი კატეგორიაა ხელობის, ვაჭრობის, საწარმოო და დანადგარების სეციალობებით სწავლა. მოდელებში რესპონდენტთა სქესი, ასაკი, განათლება და მათი მშობლების განათლება და პროფესია კონტროლდება. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) მონაცემთა საფუძველზე

დიაგრამა 6ბ-ში მოცემულია რეგრესიული კოეფიციენტები წრფივი ალბათობის მოდელებიდან, რომლებიც ასახავენ, თუ როგორ ასოცირდება სხვადასხვა სპეციალობა მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლებასთან სქესის, ასაკის და სოციალური წარმომავლობის გაკონტროლების პირობებში. მთლიან მოდელებში ადვილია იმის დანახვა, რომ ფიზიკური, მათემატიკური და კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებები, სიცოცხლის შემსწავლელი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სფეროები, ასევე მასწავლებლების მომამზადებელი და სოციალური მეცნიერებები უკავშირდება მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლების ყველაზე მაღალ შესაძლებლობებს. დამატებითი ანალიზის ჩასატარებლად ასევე შემოწმდა, თუ რა გავლენას ახდენს სწავლების სფერო ISCO 1 პროფესიის - კონონმდებლები, მაღალი თანამდებობის პირები და მენეჯერები - მიღებაზე. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ისეთი სპეციალობები როგორებიცაა მასწავლებლობის მომამზადებელი სფეროები ლოგიკურად უკავშირდება შესაბამის სფეროებში მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სამსახური შეიძლება არ იყოს ძალიან პრესტიჟული ან მაღალ ანაზღაურებადი. დანართში ნაჩვენებია, რომ უფრო დეტალური დამოკიდებული ცვლადის გამოყენება - ISCO 1 - მნიშვნელოვნად არ ცვლის ჩვენს მიგნებებს. ინდივიდებს მსგავსი სპეციალობით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აქვთ ყველაზე მაღალი შანსი მოიპოვონ მაღალკვალიფიციური სამსახური. საინტერესოა, რომ მშობლების განათლების ეფექტისაგან განსხვავებით, შერჩეული სპეციალობის გავლენა სამუშაო ბაზრის მიღწევებზე მცირდებოდა მე-20 საუკუნის განმავლობაში. როგორც ჩანს, შვილები და მშობლები ინვესტირებას ახდენენ სფეციფიკურ განათლებაში, თუმცა, ნასწავლი სპეციალობები ნაკლებად მნიშვნელოვანია წარმატებისთვის შრომის ბაზარზე.


### **რეგიონები და სოფელსა და ქალაქს შორის სხვაობა**

ჰიპოთეზა 4 შეეხება ადგილმდებარეობისა და სოფელსა და ქალაქს შორის არსებული სხვაობის გავლენას ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე. დიაგრამა 7-ში მოცემულია რეგრესიული კოეფიციენტები 15 წლის ასაკში რესპონდენტთა საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით, ხოლო დამოკიდებული ცვლადებია საგანმანათლებლო და პროფესიული მიღწევები. ისევე როგორც ადრეულ მოდელებში, გაკონტროლებულია რესპონდენტთა ასაკი, სქესი და სოციალურ წარმომავლობა, ანუ წარმოდგენილი შედეგები გვიჩვენებს რეგიონებიდან მომდინარე წმინდა ეფექტს დამოკიდებულ ცვლადებზე. დიაგრამის ბოლო ნაწილში ასახულია მთლიანი შედეგები ყველა თაობისთვის. ორი რეგიონი, რომლებისთვისაც დაბადების ადგილი უკავშირდება მნიშვნელოვნად უფრო დაბალ ცხოვრებისეულ შესაძლებლობებს არის შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. 1976-85 წლებში დაბადებული თაობისთვის, ორივე ამ რეგიონში ცხოვრება 15 წლის ასაკში ამცირებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას 12 პროცენტით. როგორც აღინიშნა ჰიპოთეზის ფორმულირების დროს, ეს რეგიონები დასახლებულია ეთნიკური უმცირესობებით, რაც სავარაუდოდ ხსნის მათ უარყოფით შედეგებს. მიუხედავად ამისა, ზოგადი ტენდენცია მეტყველებს, რომ რეგიონული უთანასწორობა მცირდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. 1966-75 და 1976-85 წლებში აფხაზეთში დაბადება, თბილისთან შედარებით, დადებითად უკავშირდება საგანმანათლებლო მიღწევებს, მაგრამ



დაფიქსირებული კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელობა დაბალია.<sup>2</sup> ყველზე მაღალი უთანასწორობა ფიქსირდება მათთვის, ვინც დაიბადა 1926-45 წლებში, განსაკუთრებით აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა, და ქვემო ქართლში. რეგიონების კლებადი როლი შეიძლება აიხსნას ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების განვითარებით ქვეყნის სხვადასხვა მხარეში.

დიაგრამა 7: უმაღლესი განათლებისა და მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლება და 15 წლის ასაკში რესპონდენტთა ცხოვრების ადგილი, კოეფიციენტები წრფივი ალბათობის რეგრესიული მოდელებიდან



შენიშვნები: \* აღნიშნავს 0.10 დონის ან უფრო მაღალ სტატისტიკურ მნიშვნელობას. რეგირებადი კატეგორიაა თბილისში ცხოვრება. უმაღლესი განათლების მიღების მოდელებში რესპონდენტთა სქესი, ასაკი, განათლება და მათი მშობლების განათლება და პროფესია კონტროლდება. მაღალკვალიფიციური პროფესიის დაუფლების მოდელებში რესპონდენტთა განათლებაც გაკონტროლებულია. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) მონაცემთა საფუძველზე

